ქ. თბილისი, მთაწმინდა, ტარიელის ქუჩაზე არსებული შენობების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი და რეკომენდაციები განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით


2019 წელი
თბილისი

საკვლევი ტერიტორია თბილისის ცენტრში, იმ მიკროუბანში მდებარეობს, რომელიც რუსთაველის პროსპექტის უკან, მთაწმინდის ძირში, მთაწმინდისა და ვერის უბნებს შუაა მოქცეული. ეს უბანი დღეს ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვით ზონაშია შეტანილი და განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა.

ისტორიული ექსკურსი

ამ ადგილის განაშენიანება მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის საზღვრებმა ისტორიული ცენტრის – კალას – ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით სალალაკის ქედებსა და მთაწმინდის ფერდობებზე გადაინაცვლა, და მას შემდეგ, რაც ქალაქის მთავარ მაგისტრალად გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტი იქცა. ამ უბნის, ისევე, როგორც მისი მიმდებარე ვერისუბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ვერის ხიდის (1883 წ. 1952 წ. იგი ახალი ხიდით შეიცვალა) აგებამ და ვერის დაღმართის (ელბაქიძე) გაჭრამ. ხიდმა თბილისის ორი მთავარი მაგისტრალი – გოლოვინისა და მიხეილის (რუსთაველის და დავით აღმაშენებლის) პროსპექტები დააკავშირა. ქალაქის განაშენიანება მტკვრის ორივე ნაპირას, მის პარალელურად განვითარდა. რუსთაველის პროსპექტის ჩამოყალიბებასა და განაშენიანებს (XIX საუკუნის მანძილზე და XX ს. I ნახევარში) ბუნებრიდად მოჰყვა მისი მიმდებარე ტერიტორიების, მთის ფერდობების ათვისებაც. XIX საუკუნის 50-იანი წლებში პროსპექტი უკვე მოსკოვის საგუშაგომდე (შემდგომში მოსკოვის ქ., დღეს კაკაბაძეების ქ.) იყო განაშენიანებული.

ჩვენთვის საინტერესო უბანი XIX საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო განაშენიანებული, რასაც ამ პერიოდის თბილისის გეგმა ადასტურებს.



განაშენიანების პროცესი, როგორც ჩანს, მოგვიანებით, XIX ს. მიწურულსა და XXს. განვითარდა. მთაწმინდის ქვედა ტერასების გაშენება, ფაქტიურად მე-19 ს-ში დაიწყო რუსთაველის (ყოფ. გოლოვინის) გამზირის პარალელურად ანუ ე.წ. გარეთუბნის ტერიტორიაზე. მათი დაგეგმარება რეგულარული ხასიათისაა, თუმცა რაც უფრო ზემოთ მიიწევდა განაშენიანება მთაწმინდის უფრო ციცაბო კალთებისკენ, მით უფრო რთულდებოდა ქუჩათა ქსელი. ამავდროულად თუკი ქვედა ტერასებზე უფრო შეძლებული ხალხი სახლდებოდა, ზემოთ რანგი დაბლა იწევდა. სწორედ ასეთია ჩვენი საკვლევი ტერიტორია. ისტორიული რუკების მიხედვით აქ მე-19 ს-ის 60-იან წლებში მხოლოდ ხევებია და აქა - იქ მცირე ნაგებობები. გამოკვეთილია ხევების ადგილას სარაჯიშვილის (ადრე პაპანინის, შემდგომ ფედოსეევის) და ძმ. კაკაბაძეების (ყოფ. ლეონიძის, ადრე მოსკოვის) ქუჩათა ხაზები, ასევე მათი პერპენდიკულარული - ბარნოვის (ადრე გუნიბის) და ზანდუკელის (ყოფ. ივ. ჯავახიშვილის, ადრე კოლხიდის, უფრო ადრე ლომინაძის, უფრო ადრე კი - იზმაილოვის) ქუჩების ხაზები. მთაწმინდის კალთაზე ქალაქის პანორამისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენობა აიგო 1913 წელს, რომელიც დიდ როლს ასრულებს არა მარტო ჩვენთვის საინტერესო ადგილის, არამედ ზოგადად მტკვრის მარჯვენა განაშენიანების სილუეტში. ესაა მიხეილ ტვერელის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. ის აიგო ე.წ. „бабий луг" -ის ადგილას მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლის ხარჯზე, იმპერატორ ნიკოლოზ II - ის ძმის, დიდი თავადის მიხეილ რომანოვის ინიციატივით.



უბანი მთის ფერდობზეა გაშენებული; ქუჩათა ქსელი რეგულარული დაგეგმარებას არ ექვემდებარება და მთა-გორიან რელიეფზე მისადაგებული მრუდხაზოვნებით ხასიათდება. ბევრი ნაგებობა აქ, უშუალოდ კლდეზე დგას, ქუჩების ცალკეულ

მონაკვეთებს კლდე საზღვრავს, კლდოვანი მასივები ზოგან პაუზებს ავსებენ სახლებს შორის, ან ეზოში „იჭრებიან“.



მიუხედავად უბნის ისტორიული განაშენიანების საერთო ღირებულებისა, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან მომდინარეობს და ისტორიული რუკებზე დაფიქსირებულია, ამ ტერიტორიაზე ძალიან ცოტა ნაგებობას აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც ქ. თბილისის ძეგლთა ნუსხის მნიშვნელოვანი ხარვეზია და განპირობებულია უმეტესი ნაგებობების მძიმე ფიზიკური მდგომარეობით. ***ამ გარემოების გამო უბანზე საკმარისად ინტენსიურია ახალი მშენებლობებით ჩანაცვლების ტენდენცია და ფაქტობრივად პერსპექტივაში უბანი ისტორიულ ღირებულებას სრულიად დაკარგავს.***

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უკანასკნელ პერიოდში თავად ე.წ. გადასასვლელი გზის – პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩის ქალაქისკენ მიმართული ნაწილი თითქმის მთლიანად განაშენიანდა საკმარისად მსხვილი მოცულობებით და ერთ დროს ქალაქისთვის ორგანული გადასახედი სივრცე ამოივსო ურბანული განაშენიანებით. თუმცა ქუჩაზე ჯერ კიდევ დარჩენილი არის ღია სივრცითი ფრაგმენტები, რომელთა განაშენიანება უნდა მოხდეს ფრთხილად, დაბალი ინტენსივობით.







საპროექტო ტერიტორია

საპროექტო ტერიტორია ტარიელის ქუჩის ზედა მონაკვეთის მარჯვენა ფლანგს მოიცავს და ქუჩის შუაწელამდე ჩადის.

თავად ტარიერლის ქუჩა, ისევე როგორც ზოგადად უბნის ურბანული ქსოვილი, არარეგულარულ, რთულ სუბსტრუქციაზე იშლება და ის ფაქტიურად აკავშირებს მთაწმინდის ზედა ფერდს ქვედა განაშენიანებასთან.

ქუჩა, რთულ რელიეფზე ვითარდება, რომელსაც ორივე მხრიდან განაშენიანება ეკვრის. ერთ-ორ სართულიანი სახლები, ტერასულად ლაგდება. შენობებს ხშირ შემთხვევაში შიდა ეზოები დაუყვება, უმეტესწილად მიმართული რუსთაველის გამზირის მხარეს. თუმცა განაშენიანების, როგორც არქიტექტურული გამომსახველობა, ასევე სამშენებლო ხარისხი რელიეფის მატებასთან ერთად კლებულობს. ასევე პროპორციულად ვიწროვდება ქუჩის სიგანეც, რომელიც მთაწმინდის ფერდის ზედა მაგისტრალთან ქუჩა კიბეში გადადის.



ქუჩაზე ძირითადათ საცხოვრებელი სახლებია განლაგებული, რომელთაც კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებული სახის ღირებულება არ გააჩნია გარდა იმისა, რომ ისინი განაშენიანების ფონს წარმოადგენენ. ამავდროულად აღსანიშნავია ისიც, რომ შენობები უმთავრესად უსისტემოდ არის განთავსებულნი, ბევრია გვიანდელი მინაშენებიც, რაც ცხადია აკნინებს მათ არქიტექტურულ ღირებულებას.

საპროექტო ტერიტორიაზე რამდენიმე საცხოვრებელი სახლია განთავსებული. მათგან ზოგი დიდი, ზოგიც კი შედარებით მცორე ზომის არის. მათი სამშენებლო ხახისხი დაბალია, მხატვრული თუ არქიეტექტურული გამომსახველობა ნაკლები.

გეგმარების თვალსაზრისით ნაგებობი არაერთგვაროვანია, მათგან რამდენიმე რუსული r-ს მოყვანილობის არის. მათგან ერთი შედარებით ახალი XX საუკუნის მეორე ნახევრის ნაგებობაა, რომელიც დამოუკიდებლად თავსდება საკმაოდ დიდი ზომის მიწის ნაკვეთზე. რამდენიმე შენობაზე შემორჩენილია კრამიტის საფარის ფრაგმენტები.

















პერიოდიზაციის თვალსაზრისით ნაგებობები, XIX საუკუნის ბოლო, XX საუკუნის დასაწყისით და შუა ხანით თარიღდება, მათი ფიზიკური მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში მძიმეა. შენობების უმეტესობისათვის დამახასიათებელია ცალქანობა სახურავი, მასში ნაწილობრივ განთავსებული სხვენით. სამშენებლო მასალა შერეულია, ქვა და აგურია, მეტია თანამედროვე ტიპის მასალის გამოყენებაც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ეზოების შემომსაზღვრელი ღობეებიც, რომელთა უმეტესობაც ამჟამად ცემენტით არის გალესილი, თუმცა ისტორიულად ისინი ქვისა და აგურის მონაცვლეობით იქმნებიდა, რისი მაგალითებიც ქუჩაზე მრავლად გვხვდება.








NT-112-EX

განაშენიანებაში უხვია მცენარეული საფარი, რომელიც შიდა ეზოებს მომხიბლაობასა და ხიბლს სძენს. მიკროკვარტალის ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის სხვა მონაკვეთებთან შედარებით უკეთესია.



დასკვნა და რეკომენდაციები


ამდენად, როგორც ჩანს განაშენიანება, შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩევა:

- უბნის ისტორიული კონტექსტი;
- რელიეფის თავისებურება და განსაკუთრებული ურბანული ხასიათი;
- განაშენიანების სტრუქტურა – შიდა ეზოებისა და მასზე შენობების მდებარეობა/განლაგება;
- ტერასული განაშენიანება;
- მცენარეული საფარი;

  მიკროკვარტალის რევიტალიზაცია, სწორედ არსებული მახასაითებლების განთვალისწინებით უნდა განხორციელდეს ამავდროულად გსათვალისწინებელია რომ უბანი, ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში შედის.

  ვფიქრობთ, პროექტირებისას გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ უმთავრესად გასათვალისწინებელია ტერიტორიის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი და მისი ინდივიდუალური დაცვის არეალი, რაზეც კანონით დადგენილი დაცვის მექანიზმი მოქმედებს



მუხლი 36. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის, მისი შემადგენელი არეალებისა და რეჟიმის დადგენა

1. ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

11. (ამოღებულია - 06.09.2013, №1075).

2. ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით.

3. ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:

ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;

ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა;

გ) ისეთი ობიექტების ადმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;

დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.

4. ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება:

ა) ძეგლებისათვის – 300 მეტრის რადიუსით;

ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით;

გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის –1000 მეტრის რადიუსით.

5. თუ ძეგლი ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული შესაბამისი მანძილი მცირდება ორჯერ.

6. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

7. ამ მუხლში მითითებული არეალების განსაზღვრისათვის ძეგლის სიმაღლედ მიიჩნევა მისი უმაღლესი ნიშნული, ხოლო მანძილი ძეგლიდან დამცავი არეალის საზღვრამდე აითვლება ძეგლის გარე კონტურიდან, ძეგლის ცენტრიდან გავლებული რადიუსის მიმართულებით.

- ✓ გათვალისწინებულ უნდა იქნას ადგილის გეოგრაფიის სპეციფიკა. და არსებული ტოპოგრაფიული კონტექსტი. რთული რელიეფის თავისებურებიდან გამომდინარე სასურველია განაშენიანებას ჰქონდეს ტერასული ხასიათი, ისეთი როგორიც ამჟამინდელი ისტორიული განაშენიანებისათვის არის დამახასითებელი. შენობებმა ანგარიში უნდა გაუწიოს როგორც წინას, ასევე უკან მდგომს, რათა არ დაირღვეს ისტორიული სტრუქტურა და მისი სპეციფიკურობა;
- ✓ გათვალისწინებული იქნას ტერიტორიის მიმდებარე განაშენიანების მასშტაბი. ერთმნიშვნელოვნად სწორება არ უნდა იქნას აღებული უარყოფით მაგალითებზე;
- ✓ შენარჩუნებულ იქნას მიკროკვარტალის ურბანული სტრუქტურა – ქუჩათა ქსელის, მისი კონფიგირაციის, ქუჩა კიბის სახით;
- ✓ შენარჩუნებულ იქნას განაშენიანების ამჟამინდელი არარეგულარული სტრუქტურა, როგორც ურბანული კონტექსტის, ასევე უშუალოდ განაშენიანების სპეციფიურობის გათვალისწინებით. ცალკეული ნაგებობები, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითვალისწინებდეს ეზოს, როგორც სივრცობრივ პაუზასა და საერთო განაშენიანების ხასიათის მაფორმირებელს;
- ✓ სასურველია განაშენიანებას ჰქონდეს გახსნილი ხასიათი (აივნების, ღია ტერასების გამოყენებით) უპირატესად რუსთაველის გამზირის მიმართულებით;
- ✓ შესაძლებელია განაშენიანების შერეული სართულიანობა (რელიეფის გათვალისწინებით) თუმცა სასურველია თითოეული ნაგებობის სართულიანობა არ აღემატებოდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების სიმაღლეს;
- ✓ დაუშვებელია ვერტიკალის, მკვეთრი არქიტექტურული ფორმების, განაშენიანებისთვის არათავსებადი კონტექსტების გამოყენება;

- ✓ ერთმნიშვნელოვნად გათვალისწინებულ იქნას ხედვის წერტილები საპროექტო ტერიტორიაზე. მოსამზადებელია ე.წ. ფოტომონტაჟი, რომელიც მონაკვეთზე განაშენიანების უმტკივნეულო ინტეგრირებას დაადასტურებს;
- ✓ ვფიქრობთ გასთვალისწინებელია საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ არსებული განაშენიანებაცა და მათი ფიზიკური მდგომარეობაც. პროექტის განხორციელების რისკებში აღნიშნული გარემოება უნდა იქნას გათვლილი;
- ✓ ერთმნიშვნელოვნად შესანარჩუნებელია ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარი;
- ✓ და ბოლოს უდნა აღინიშნოს, რომ ტერიტორია ძალზედ სენსიტიურ ადგილას მდებარეობს და ის ფაქტიურად ხელისგულივით იშლება ქალაქის არაერთი კუთხიდან. შესაბამისად მისი ათვისება ფაქიზ ჩარევას, არქიტექტურულ ტაქტსა და დახვეწილ გემოვნებას მოითხოვს. განაშენიანება უნდა იყოს უმტკივნეულო, ფაქიზი და დადებითი კონტექსტის შემტანი უბნის სოციალური განვითარებისთვის. ამავდროულად ის ჰარმონიულად უნდა იტეგრირდეს უბნის ჩამოყალიბებულ განაშენიანებასა და მის ავთენტურ სხეულში.

ხელოვნებათმცოდნე თათია ღვინერია